

მიკროპროცესორი რაბიეტის გართვის სისტემაზე

კონსტანტინე კამპამიძე, თამარ გაბაშვილი, ნატალია გაბაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაჩვენებია მიკროპროცესორების გამოყენების საშუალებანი მართვის პროცესში, მათი შესაძლებლობანი მოწილი ალგორითმების და პროგრამების რეალიზაციაში. მაგალითისათვის მოყვანილია ენერგოსისტემის საღისებერო პუნქტზე მიკროპროცესორების გამოყენების პერსპექტივა სიმძლავრეების ოპტიმალური განაწილების და მართვის ბრძანებების დოზირების ამოცანებისათვის. პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებისათვის აღწერილია სპეციალური ხერხი, რომლის გამოყენების დროს ყოველ დაკავშირების ბიჯზე მიმართავენ ერთიდაიგივე მეხსიერების უჯრედებს. განმარტებულია, როგორც უკუკავშირის, ასევე მართვის სიგნალების კვანტირების საკითხები.

საკვნო სიტყვები: დაკავშირება. დოზირება. ოპტიმალური განაწილება. მიკროპროცესორი. ალგორითმი.

1. შესავალი

მიკროპროცესორი წარმოადგენს მართვის ამოცანების ამოხსნის უნივერსალურ საშუალებას, რომელიც ინვარიანტულია, როგორც ობიექტის ან მართვის პროცესის, ასევე მართვის ალგორითმის მიმართაც. მართვის ალგორითმის შესაცვლელად აუცილებელი და საკმარისია შევცვალოთ პროგრამა, რომლის დახმარებითაც მიკროპროცესორით რეალიზდება მართვის ალგორითმი. სხვა ობიექტის ან პროცესის მართვისათვის მიკროპროცესორის გამოყენებისას იცვლება მოწყობილობების ჯვეში, რომელთა დახმარებითაც სრულდება ინფორმაციის შეტანა და გამოტანა. მიკროპროცესორი, მეხსიერება, ციფროანალოგური და ანალოგოციფრული მოწყობილობები დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო მაგისტრალით, რომელიც წარმოადგენს სადენების ერთობლიობას, რომლებითაც ხდება მისამართების კოდების, მონაცემების და მართვის სიგნალების გადაცემა. ელექტრომიმყვანის მიკროპროცესორული მართვის ალგორითმი, წარმოადგენს მართვის პროცესის ამოცანების ამოხსნის ალგორითმს. პიდ (პროპორციონალურ-ინტეგრალურ-დიფერენციალური) რეგულატორის მართვის ალგორითმი მარტივად პროგრამირებადია. ის საშუალებას იძლევა საკმარის სწრაფად ჩატარდეს გამოთვლები და მიღებულ იქნას ოპტიმალურთან მიახლოებული გარდამავალი პროცესები.

2. ძირითადი ნაწილი

მიკროპროცესორულ მართვაში დიდი გამოყენება პიდ რეგულატორმა, რადგან თვით მართვის პროცესშიც კი ამ ტიპის რეგულატორს შეუძლია პროგრამის დახმარებით მართვის მოდიფიცირება. ანალოგურ ფორმაში პიდ რეგულატორი აღიწერება შემდეგი გამოსახულებით.

$$u(t)k_p = x(t) + \frac{1}{T_o} \int_0^t x(\tau) d\tau + T_{\varphi} \frac{dx(t)}{dt} \quad (1)$$

სადაც T_{φ} - ინტეგრების დროა და T_{φ} - დიფერენცირების დრო. დისკრეტულ ფორმაში წარმოდგენისას გამოყოფა T_0 ტაქტური დრო, ხოლო ა და x სიდიდეები განიხილება მხოლოდ kT_0 , $k=0, 1, 2 \dots$ დროის დისკრეტულ მომენტებში. შემოკლებისათვის წერენ $u_k=u(kT_0)$, $x_k=x(kT_0)$. აღნიშნულის თანახმად დისკრეტულ წარმოდგენაში ინტეგრალებისა და დიფერენციალების მნიშვნელობები მიახლოებითია. დისკრეტულ ჩანაწერში გამოსახულება (1) მიიღებს სახეს:

$$u_k = k_p \left[x_k + \frac{T_0}{T_o} \sum_{i=1}^k x_{i-1} + \frac{T_{\varphi}}{T_o} (x_k - x_{k-1}) \right] \quad (2)$$

გამოსახულებაში მოცემული ჯამი გამოითვლება მთელი წინა დროის განმავლობაში თითოეულ ბიჯზე. თუ გამოსახულებას დავაპროგრამებთ, ისე როგორც ეს არის თითოეულ ბიჯზე, გამოთვლის დრო სწრაფად გაიზრდება და განდება. თი ქვანტოვანების დროზე მეტი. გარდა ამისა, გარკვეული დროის შემდეგ, ამ გამოსახულების გამოსათვლელად საკმარისი არ არის მთელი მიკროპროცესორული მეხსიერება. (ყველა შუალედური მნიშვნელობის შენახვის გამო).

ამიტომ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით მითითებულ ჯამს, შევამჩნევთ, რომ თითოეული (k-1) - დან k ტაქტზე გადასვლისას ემატება მხოლოდ ერთი წევრი. ეს ფაქტი შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგნაირად: თუ დავწერთ (2)-ეს ანალოგიურ გამოსახულებას u_{k-1} -სთვის ანუ წინა ტაქტისათვის და შემდეგ მე-(2) გამოსახულებას გამოვაკლებთ მას, მაშინ ჯამი “დაიშლება” და მივიღებთ

$$u_k - u_{k-1} = k_p \left[(x_k - x_{k-1}) + \frac{T_0}{T_\infty} x_{k-1} + \frac{T_\infty}{T_0} (x_k - 2x_{k-1} + x_{k-2}) \right],$$

საიდანაც

$$u_k = u_{k-1} + k_p \left[\left(1 + \frac{T_\infty}{T_0} \right) x_k + \left(-1 + \frac{T_0}{T_\infty} - 2 \frac{T_\infty}{T_0} \right) x_{k-1} + \frac{T_\infty}{T_0} x_{k-2} \right],$$

რომელიც უფრო შემოკლებულად ჩაიწერება შემდეგნაირად

$$u_k = u_{k-1} + q_0 x_k + q_1 x_{k-1} + q_2 x_{k-2} \quad (3)$$

ეს გამოსახულება წარმოადგენს ალგორითმის საფუძველს.

kT_0 ქვანტოვანების მოცემულ ინტერვალზე მართვის სიგნალის დასათვლელად, საჭიროა ვიცოდეთ მართვის სიგნალის მნიშვნელობა $k-1$ ინტერვალზე, ასევე x -ის მნიშვნელობები ქვანტოვანების k , $k-1$, $k-2$ ინტერვალებზე. q_i კოეფიციენტები დამოკიდებულია ანალოგური რეგულატორის პარამეტრებზე, მაგრამ თითოეული გარკვეული რეგულატორისათვის არის მუდმივი.

პროგრამა, რომელიც ახდენს (3) გამოსახულების რეალიზებას მიკროპროცესორული მოწყობილობისათვის, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

კოეფიციენტი q_1 შეიძლება იყოს უარყოფითი, იგი ჩვეულებრივ არ წარმოადგენს მთელრიცხვა სიმრავლეს. იმის მიხედვით თუ პარამეტრების რამდენად ზუსტი მნიშვნელობებია მოთხოვნილი, მათ შეუძლიათ ჰქონდეთ რამდენიმე ბათქის მნიშვნელობა. u , x , q_i -სთვის და შეალედური შედეგისათვის მიკროპროცესორული სისტემის მეხსიერებაში უნდა იყოს გამოყოფილი ადგილები. u_k -ს გამოთვლამდე უნდა ვიცოდეთ u_{k-1} და x -ის მნიშვნელობები. ქვანტოვანების ყოველ ინტერვალზე x_{k-1} მნიშვნელობა იცვლება ახალი x_k -თ.

მართვის სიგნალის გამოთვლამდე აუცილებელია მონაცემები მოვათავსოთ შესაბამის ადგილებზე. ამ ადგილებს ენიჭებათ სახელები. თუ აღვნიშნავთ ამ სახელებს U, Q_i, X_i მაშინ (3)-ე გამოსახულება შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$u_k = \langle U \rangle + \langle Q_0 \rangle \langle X_0 \rangle + \langle Q_1 \rangle \langle X_1 \rangle + \langle Q_2 \rangle \langle X_2 \rangle$$

სადაც $\langle \rangle$ კუთხოვანი ფრჩხილები აღნიშნავს მასში მოთავსებული ცვლადის შინაარსს (მნიშვნელობას).

თუ ჩავწეროთ (3) -ეს ქვანტოვანების ორი ინტერვალისათვის, (ერთი-მეორის მომდევნო ინტერვალისათვის), მივიღებთ შემდეგს:

$$\begin{aligned} u_k &= u_{k-1} + q_0 x_k + q_1 x_{k-1} + q_2 x_{k-2} \\ u_{k+1} &= u_k + q_0 x_{k+1} + q_1 x_k + q_2 x_{k-1} \end{aligned}$$

გაზომილი მართვის ცდომილება

დავუშვათ, რომ უკვე გამოვთვალეთ ა. სანამ u_{k+1} გამოვთვლიდეთ, მანამ მონაცემები გავანაწილოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მართვის u_k სიგნალის გამოთვლილი მნიშვნელობა ჩავწეროთ მეხსიერებაში, რომლის სახელია U (მარცხნა ისარი).
2. x_1 უჯრის შიგთავსი იგზავნება x_2 -ის ადგილას, ე.ი. $x_1 \rightarrow x_2$ -ში. ამ დროს $x_{k-2} \rightarrow$ იცვლება x_{k-1} -ით. ხოლო x_{k-2} -ის ძელი მნიშვნელობა იკარგება (მარჯვენა ისარი).
3. x_0 უჯრის შიგთავსი ანუ მართვის ცდომილების მიმდინარე მნიშვნელობა იწერება მეხსიერების x_1 უჯრაში ანუ, $x_0 \rightarrow x_1$ (შუა ისარი).
4. მართვის გამოთვლილი ცდომილება შეიტანება მეხსიერებაში x_0 -ის სახელით (ქვედა ისარი).

მითითებული მიმდევრობა არის არსებითი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება x_k ან x_{k-1} . გამრავლების მოქმედების შესასრულებლად საჭიროა მეხსიერების დამატებითი მიდამო, რომლის სიგრძე დამოკიდებულია დასამუშავებელი სიტყვების სიგრძეზე და გამოყენებულ პროცესორზე. აღნიშნული, ილუსტრირებულია შემდეგი მოქმედებების თანმიმდევრობით:

- მართვის ცდომილების გამოთვლა;
- თვითონ მართვის სიგნალის გამოთვლა ალგორითმის საშუალებით, მართვის სიგნალის ჩაწერა მეხსიერების შესაბამის მიდამოში;
- მართვის სიგნალის მნიშვნელობის გამოტანა რეგულატორიდან, მართვის ცდომილების დამკრა;
- ქვანტოვანების ინტერვალის დასრულება.

მაგალითად, ენერგოსისტემაში სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების გაანგარიშება, ქსელებში დანაკარგების და შეზღუდვების გათვალისწინებით, დაკავშირებულია დიდი რაოდენობის ცვლადიანი არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე.

ასეთი სისტემის ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით, რომელიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობის გამოთვლებთან. ხშირ შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, რადგან მიმდევრობითი მიახლოების მეთოდი ყოველთვის არ არის კრებადი ე.ი. მიახლოებითი მნიშვნელობა ვერ უახლოვდება ზუსტ ამონასიენს. ამიტომ ბოლო წლებში დაიწყეს სხვადასხვა ავტომატური მოწყობილობების გამოყენება, რომლებიც ასრულებს სიმძლავრის ოპტიმალურ განაწილებას, ამ მოწყობილობებს აყენებენ ენერგოსისტემის სადისპეჩერო პუნქტებზე და ძირითადად იყენებენ დისპეჩერის ოპერატორის ინფორმაციისათვის. ცალკეულ შემთხვევაში ისინი გამოიყენება, როგორც მმართველი მანქანების ელემენტები.

ასეთი მოწყობილობები იძლევა დამოუკიდებლად და ოპერატორიულად ენერგოსისტემებისათვის აქტიური სიმძლავრების ოპტიმალური მნიშვნელობების შესახებ მითითებებს. ანალოგიური მოწყობილობები, ელექტროსადგურებში ცალკეულ აგრეგატებს შორის აქტიური სიმძლავრეების ოპტიმალურად გასანაწილებლად, გამოიყენება დისპეჩერების მიერ.

მსგავსი მოწყობილობები უმრავლეს შემთხვევაში იყენებს ანალოგურ ტექნიკას. ამ მოწყობილობებს მიეკუთვნება ამჯამავი, ფუნქციონალური გენერატორები, ინტეგრატორები და სხვა. ეს მოწყობილობები უწყვეტად ამუშავებს დისპეჩერის ან სადგურიდან ტელეგარაზის მიერ შეტანილ ინფორმაციას სიმძლავრის ოპტიმალური განაწილებისათვის. ამასთან ერთად, ამჟამად შესაძლებელია მიკროპროცესორების გამოყენება ისეთი პროგრამებით, რომლებიც სიმძლავრეებს ანაწილებს ოპტიმურად და სადისპეჩერო პუნქტებზე ასრულებს სისტემის მართვას.

მიკროპროცესორი ასრულებს ავტომატური მართვის დოზირების ზემოქმედების მოწყობილობის ფუნქციას. შემსრულებელი ორგანოები (შო), ავარიამდელი ინფორმაციის ტელეგადაცემის საშუალებები, ავარიისა და მართვის ბრძანებების ინფორმაცია, ახდენენ ამ ზემოქმედებების რეალიზებას. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ასევე მართვის ზემოქმედების დოზირების დამახსოვრებელი მოწყობილობა.

3. დასკვნა

ჩამოყალიბებულია მიკროპროცესორული სისტემის მართვის ალგორითმის სტრუქტურა, რომელიც დაფუძნებულია პროპრიეტულ-ინტეგრალურ-დიფერენციალური რეგულატორის პრინციპზე. მოცემულია ალგორითმის დისკრეტული ფორმა. ნაჩვენებია პროგრამული უზრუნველყოფის პრინციპები ალგორითმის გამოთვლისათვის. მოყვანილია ენერგოსისტემის სადისპექტო პუნქტზე მიკროპროცესორული სისტემის გამოყენების მაგალითი დისპექტორის ან ტელეარხის მიერ შეტანილი ინფორმაციის დროს.

ლიტერატურა:

1. Бочаров Ю.И., Бутырин Н.Г., Шарахин В.Н. Микропроцессорные системы управления электроприводами. Ленинград 1986
2. Дерюгин А.А. Потёмкин И.С. Основы микропроцессорной техники. М., 1986
3. Круг Е.К. Александриди Т.М. Дилигенский С.Н. Цифровые Регуляторы. М., 1966

MICROPROCESSOR IN OBJECT CONTROLLING SYSTEM

Kamkamidze Konstantin, Gabashvili Tamar,
Gabashvili Natali
Georgian Technical University

Summary

The utilization of microprocessors in controlling systems, their abilities to develop flexible algorithms and applications are presented. The utilization of the microprocessors in electric power control system to regulate output and order batching capacities is discussed as an example. In the case of software development particular methods declared, which in each step of quantization applies to the cells of memory. The feedback as well as the control quantization issues are defined.

МИКРОПРОЦЕССОР В СИСТЕМЕ УПРАВЛЕНИЯ ОБЪЕКТОМ

Камкамидзе К., Габашвили Т., Габашвили Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Показаны возможности применения микропроцессоров в управляемых процессах, их возможности в реализации гибких алгоритмов и программ. В качестве примера описана перспектива применения микропроцессора на диспетчерском пункте энергосистемы для оптимального распределения нагрузки и управляющих сигналов дозировки. Для разработки программного обеспечения описан специальный метод, с помощью которого на каждом шаге квантования обращаются к одним и тем же ячейкам памяти. Разъяснены вопросы квантования как обратной связи, так и сигналов управления.